ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ
აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მარიამ ზოიძე

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები

სპეციალობა: უცხოური ენა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

მეცნიერ-ხელმძღვანელი,

პროფესორი აკაკი ზოიძე

ხიჭაური

2021

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში ,,მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები“ განხილულია სწავლის მოტივაციის, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენისა და მოსწავლის წარმატების ფაქტორის, არსი და გაანალიზებულია მოტივაციის განმხილველი თეორიები, განწყობისა და მოტივაციის ურთიერთდამოკიდებულება, მოსწავლეთა ტიპოლოგია და მათი ფსიქოლოგიოური თავისებურებები.

ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული მოტივაციის სახეებზე -- ექსტრინსიკულ ანუ გარეგან და ინტრინსიკულ ანუ შინაგან მოტივაციაზე. განხილულია მოტივაციაზე მოქმედი შიდაპიროვნული ბუნებრივი და გარეგანი ფაქტორები, ასევე, გაშუქებულია მასწავლებლის მიერ მოტივაციის ასამაღლებელი სტრატეგიები და მეთოდები.

ნაშრომში ხაზგასმულია მოსწავლის მოტივაციის ამაღლების საქმეში ოჯახისა და სკოლის ურთიერთთანამშრომლობის დიდი მნიშვნელობა.

აღნიშნული საკითხების განხილვაში ვეყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს, სტატიებს, ინტერნეტ-წყაროებს. კვლევაში გამოყენებული გვაქვს ანკეტირებისა და ინტერვიუს მეთოდები.

Annotation

The master's thesis "Strategies to increase student motivation" discusses the essence of learning motivation as a psychological phenomenon and a factor of student success, and analyzes theories of motivation, the relationship between mood and motivation, student typology and their psychology.

The paper focuses on the types of motivation - extrinsic or external and intrinsic or internal motivation. Intrinsic natural and external factors affecting motivation are discussed, as well as strategies and methods to increase motivation by the teacher.

The paper emphasizes the great importance of family and school cooperation in raising student motivation.

We rely on scientific literature, textbooks, articles, Internet sources to discuss these issues. We used survey and interview methods in the research.

სარჩევი

შესავალი .....გვ. 5

თავი I. მოტივაციის არსი და მისი მნიშვნელობა

& 1. ძირითადი თეორიული მიდგომები მოტივაციისადმი.....გვ. 8

& 2. განწყობა და მოტივაცია .....გვ. 11

& 3. ფსიქოლოგიური თავისებურებები და მოსწავლეთა ტიპოლოგია.....გვ. 13

თავი II . მოტივაციის ფორმები

& 1. შინაგანი მოტივაცია.....გვ. 19

& 2. გარეგანი მოტივაცია.....გვ. 22

თავი III. მოტივაციაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენა

& 1. ბუნებრივი მოტივები.....გვ. 25

& 2. მშობელთა ჩართულობა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში.....გვ. 31

თავი IV. მოტივაცია თანამედროვე სკოლის პრაქტიკაში..... გვ. 38

დანართი (ანკეტა № 1, № 2., № 3, № 4,,,.....გვ. 40

დასკვნები და რეკომენდაციები.....გვ. 49

გამოყენებული ლიტერატურა.....გვ. 53

შესავალი

XXI საუკუნეში, გლობალური ურთიერთობებისა და ტექნოკრატიის ეპოქაში, განათლების სფეროს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, პირიქით, ის ქვეყნების განვითარების დონისა და პოტენციალის განმსაზღვრელ ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდაა მიჩნეული, თუმცა სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მეთოდების გამოყენების პარალელურად გაჩნდა გარკვეული სახის სირთულეებიც, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი სწაცლის დაბალი მოტივაციაა.

სწორედ სწავლის მოტივაცია წარმოადგენს თანამედროვე სკოლის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას, განათლების პროცესის დიდ გამოწვევას. სასწავლო მოტივაცია, ზოგადად, მოტივაციის სასწავლო საქმიანობაში ჩართული ცალკე სახეობაა. სასწავლო საქმიანობა კი წარმოიქმნება სხვადასხვა ფსიქოლოგიური ხასიათის მოტივების იერარქიით. მოტივები შეგნებულად დასმული მიზნების მეშვეობით იწვევენ მოსწავლეში სასწავლო საქმიანობას.

პედაგოგიკაში მოტივაცია მნიშვნელოვან ტერმინადაა მიჩნეული და ნიშნავს სასურველი მიზნის მისაღწევად მიმართულ პროცესს, სტიმულს, წახალისებას, სურვილს -- ისწავლოს. მოტივაცია გულისხმობს სასწავლო გარემოში ისეთი პოზიტიური განწყობის შექმნას, რომ მოსწავლეს გაუჩნდეს სწავლის ინტერესი, ცოდნის მიღების მაღალი ხარისხის სურვილი, სიახლეებისკენ სწრაფვა. მოტივაცია წარმატებულობისა თუ წარუმატებლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა და ის უშუალოდ განსაზღვრავს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართულობის დონეს.

ნაშრომის აქტუალობა: თანამედროვე სინამდვილეში მოტივაციის საკითხზე აქტიურად მსჯელობის წამოჭრა დაკავშირებულია სწავლების ახლებურ მიდგომებთან, სასკოლო საგნობრივი პროგრამების გადატვირთვასთან, საგნობრივი სტანდარტების ცვლილებასა და, ხშირ შემთხვევაში, აღსაქმელი მასალის გართულებასთან, მოსწავლეებში ცოდნის დამოუკიდებლად მიღების უნარების გამომუშავებასთან, ბავშვების იდეურ, მორალურ, ესთეტიკურ აღზრდასთან, მათში

ნაყოფიერი ცხოვრებისეული და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებასთან, სწავლებაში ახლებური სტრატეგიების გამოყენებასთან.

დღეს უმართებულოდაა მიჩნეული იმის თქმა, რომ მოსწავლეს სწავლა არ უნდა, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გაირკვას, რატომ არ უნდა სწავლა, მოტივაციის რომელი მხარეები არა აქვს ჩამოყალიბებული, რატომ არ ეხმარებიან მას უფროსები მოტივაციის გაჩენასა და საკუთარი ქცევების ორგანიზებაში და ა. შ..

მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ რახან მოსწავლე მოვიდა სკოლაში, მან უნდა გააკეთოს ყველაფერი ის, რის რეკომენდაციასაც პედაგოგი აძლევს. ასეთ შემთხვევაში უყურადღებოდ რჩება მოტივაციის გაჩენის პროცესი, არადა, სწორედ მოტივაცია ზრდის სწავლისადმი ინტერესს, ხოლო სწავლის მაღალი მოტივაცია, თავის მხრივ, ხდება წარმატების ძირითადი ფაქტორი.

ამდენად, დღეს სკოლაში მეტად აქტუალურია საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის ჩართულობა, მისი მოტივაციის ამაღლება, ცოდნის მიღების მიმართ ბავშვში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება. მასწავლებლის უმთავრეს დანიშნულებად კი ითვლება, რომ სწავლა აქციოს არა იძულებით, არამედ სახალისო, საინტერესო, მიმზიდველ პროცესად და მოსწავლეს შეუქმნას როგორც სწავლის, ასევე ყველა სასკოლო აქტივობის მოტივაცია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომის თემა **აქტუალურია.**

ნაშრომის მიზანი: სასწავლო საქმიანობის მოტივების შესწავლა და სკოლის მოსწავლეების სასწავლო მოტივაციის ხარისხის გაანალიზება.

ამოცანები: ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

1.მოტივაციის არსისა და მნიშვნელობის განსაზღვრა; მოტივაციისადმი თეორიული მიდგომების გაშუქება;

2.ფსიქოლოგიურ თავისებურებებსა და მოსწავლეთა ტიპოლოგიაზე მსჯელობა;

3. შინაგანი და გარეგანი მოტივაციის დახასიათება;

4. მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა;

5 მოტივაციის ამაღლებაში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის გაანალიზება;

6. სასკოლო მოტივაციისკენ მიმართული ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური რეკომენდაციების შემუშავება;
7. თანამედროვე სკოლის პრაქტიკაში მოტივაციის კვლევა.

კვლევის ობიექტი: ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს № 1 საჯარო სკოლის II – III კლასებისა და X კლასის მოსწავლეების მოტივაციის დონე.

ნაშრომის ჰიპოთეზა:

1. მოსწავლეების უმრავლესობას აქვს დაბალი სასწავლო მოტივაცია, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით, კერძოდ, არასაგაკვეთილო აქტივობების სიმცირით, რთული დავალებებით, მშობლების პასიური დამოკიდებულებით შვილის სასწავლო საქმიანობის მიმართ;

2. სწავლის მაღალი მოტივაცია უფროსკლასელებში დაკავშირებულია თვითშეფასების მაღალ ხარისხთან და მოსწავლის სამომავლო გეგმებთან

ნაშრომის მეთოდები: ინფორმაციის შეგროვების,ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ლიტერატურის თეორიული ანალიზის, დაკვირვების, თვისებრივი კვლევის (ანკეტირებისა და ინტერვიუს მეთოდები).

კვლევის პრაქტიკული ღირებულება: სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება გამოიხატება იმაში, რომ ის დაინტერესებულ პირებს გაუმდიდრებს თეორიულ ცოდნას მოტივაციის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, გამოადგება განათლების სისტემაში მომუშავე ადამიანებსა და სპეციალისტებს, რომლებიც იკვლევენ სწავლების მოტივაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს.

ნაშრომის სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, ოთხი თავის, ქვეთავების, დანართებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი I. მოტივაციის არსი და მისი მნიშვნელობა

& 1. ძირითადი თეორიული მიდგომები მოტივაციისადმი

სიტყვა ,,მოტივაცია“ მომდინარეობს ლათინურიდან (movere) და ნიშნავს მიზნისკენ სწრაფვას, მოძრაობას, მიმართულების მიცემას. მოტივაცია ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიური აქტივობების მიმართულების მიცემა და მათი მართვის პროცესია. მოტივაცია ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემაა თანამედროვე ფსიქოლოგიაში, რადგან ის დაკავშირებულია ადამიანის აქტივობასთან, მის ქცევებთან, საქმიანობასთან.

მოტივაცია არის ადამიანის აქტივობის გამომწვევი სურვილი, განზრახვა, მამოძრავებელი ძალა, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების მიმართულებას და ხელს უწყობს რაიმეს მიღწევაში. ადამიანის ქცევა ყოველთვის მოტივირებულია და გამოვლენის სხვადასხვა ფორმა გააჩნია. ეს შეიძლება იყოს ბეჯითი შემოქმედებითი საქმიანობა, ენთუზიაზმი, ან კიდევ - ,,პროტესტის ნიშნად“ სწავლისა ან შრომისადმი თავის არიდება. ამდენად, ყოველთვის უნდა ვეძიოთ ადამიანის ქცევის მოტივი.

მოსწავლის მოტივირება ნიშნავს საქმიანობისა და სწავლის პროცესში მისი ინტერესების გამოვლენას და ბავშვისთვის მათი რეალიზების შანსის მიცემას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიაში მოტივაციის ცნებას ცენტრალური ადგილი უჭირავს, რადგან სწორედ მოტივაციით არის განპირობებული ყველა ფსიქოლოგიური პროცესი. თვით მოტივის ცნებაში იგულისხმება საქმიანობისადმი, ქცევისადმი ადამიანის ნებისმიერი შინაგანი განზრახვა. ,,დუაიტ ეიზენჰაუერის განმარტებით, მოტივაცია არის უნარი, ადამიანი იქამდე მიიყვანოთ, რომ გააკეთოს ის, რაც საჭიროა, როცა საჭიროა და როგორც საჭიროა, იმიტომ რომ ეს თვითონ მას სურს“: (ჟურნ. ,,ბიზნესი“, 2007:17).

მოტივაციის, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენის განხილვისას, მეცნიერები მრავალ სირთულეს წააწყდნენ. ეს, პირველ ყოვლისა, უკავშირდება თვით ტერმინს, რადგან სინონიმებად იხმარება ,,მოტივაცია“ და ,,მოტივი“. მოტივაციას უკავშირებენ მოთხოვნილებებს, ადამიანის მსოფლმხედველობას, საკუთარ თავზე

წარმოდგენას, პიროვნულ თავისებურებებს, მის განცდებს, გარემოს შესახებ ცოდნას, სხვა ადამიანთა შეფასებას და ა.შ. (Иванников В.А. 2019:326).

ცნებაში ,,მოტივი" იგულისხმება იდეები და წარმოდგენები, განცდები და გატაცებები, განზრახვები და მიდრეკილებები, სურვილი და მოვალეობის გრძნობა, პიროვნების მდგომარეობა და თვისებები და ა.შ. მოტივი ადამიანის ქცევის შინაგანი ფსაიქოლოგიური მიზეზია, რომელიც მას უბიძგებს ამა თუ იმ გააზრებული საქმიანობისკენ.

ტერმინი ,,მოტივაცია" თანამედროვე ფსიქოლოგიაში გამოიყენება, როგორც ფაქტორთა მთელი სისტემის განსაზღვრება და ქცევითი აქტივობის მასტიმულირებელი პროცესი, რომელზეც გავლენას ახდენს როგორც ბიოლოგიური, ასევე, სოციალური, ემოციური თუ კოგნიტური ფაქტორები. აქედან გამომდინარე, ისტორია იცნობს მოტივაციის სხვადასხვა თეორიას.

ადამიანის საქმიანობისა და დეტერმინაციის პრობლემა ქმნის მოტივაციასთან დაკავშირებულ ერთმანეთისგან განსხვავებულ თეორიებს. ერთ-ერთია **ბიჰევიორისტული თეორია,** რომლის თანახმად, აქტივობის საფუძველს წარმოადგენს მოთხოვნილება, ორგანიზმის საჭიროება (ჭამა, წყურვილი, ნორმალური ტემპერატურის ქონა და ა.შ.). თვით ეს ტერმინი მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან behavior და ნიშნავს ,,ქცევას".

საგანმანათლებლო სისტემაში ბიჰევიორისტული თეორია ორიენტირებულია მასწავლებელზე. ამ მიდგომით სწავლა დამოკიდებულია პედაგოგზე, მის მიერ ინფორმაციის გადაცემის მეთოდზე, პოზიტიურ სასწავლო გარემოზე, წამახალისებელი სტიმულის შექმნაზე. თუ ბავშვს მუდმივად წააახალისებენ გარკვეული ქცევის გამო, მას განუვითარდება ტენდენცია -- განახორციელოს ეს ქცევა. შექება, მაღალი ქულები, ვარსკვლავები, სტიკერები თუ სხვა მასტიმულირებელი ჯილდოები მოსწავლისთვის არის სწავლისადმი მისი მოტივირების მცდელობა.

მეორე თეორია ზიგმუნდ ფროიდისეულია და მას **ფსიქოანალიტიკურ თეორიას** უწოდებენ. ფროიდის აზრით, ქცევის მოტივაციის საფუძველია თანდაყოლილი

ინსტინქტების (სიცოცხლის და სიკვდილის), ორგანიზმის ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ სწრაფვა. ინსტინქტები ავსებენ ინდივიდს ენერგიით, რომელიც მისი აქტივობის წყაროა.

მოტივაციის თეორია, რომელიც დაფუძნებულია ფსიქოანალიზზე, ადამიანის ქცევას ხსნის ფსიქიკის სხვადასხვა კომპონენტს შორის ურთიერთობით. ქცევას მართავს ძლიერი შინაგანი ძალები, რომლებიც მისივე მოტივს წარმოადგენს. ,,ადამიანის ქცევები თანდაყოლილი ინსტინქტებიდან, ბიოლოგიური ლტოლვებიდან, პიროვნების მოთხოვნილებებსა და საზოგადოების მოთხოვნებს შორის კონფლიქტის გადაჭრის მცდელობიდან გამომდინარეობს. ფროიდის მოდელში პირველად იყო ნაჩვენები, რომ ადამიანის ბუნება ყოველთვის არ არის რაციონალური, რომ ქცევები შეიძლება ისეთი მოტივებით იყოს გამოწვეული, რომლებიც არ არის გაცნობიერებული“ (გერიგი რ., 2009:139).

მესამე არის **ჰუმანისტური თეორია** (აბრაჰამ მასლოუ, კ. როჯერსი). ამ თეორიის საფუძველს ეგზისტენციალიზმი წარმოადგენს. აღნიშნული თეორიის თანახმად, ადამიანური ქცევის მოტივირების ძალა მდგომარეობს მის მიერვე საკუთარი უნარების და პოტენციალის რეალიზებაში, თვითაქტუალიზაციის ტენდენციაში. ჰუმანისტური მიდგომა მოტივაციისადმი ნიშნავს პიროვნების თვითშეფასების, შინაგანი რესურსების წაქეზებას. როჯერსი თვლის, რომ ადამიანი ისწრაფვის იდეალურ ,,მე“-ს მიუახლოვოს რეალური ,,მე“.

გ. ოლპორტის აზრით, ნორმალური ადამიანი ფუნქციურად ავტონომიურია, სხეულის მოთხოვნილებებისგან თავისუფალი, ძირითადად, შეგნებული, ინდივიდუალური და მარადიულად არ იმყოფება ინსტინქტების ტყვეობაში.

იერარქიის ცნობილი თეორიის ავტორი მასლოუ მიიჩნევს, რომ მოტივების აქტუალიზაცია დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა დაკმაყოფილებული უფრო დაბალი დონის მოთხოვნები, რის შემდეგაც ხდება უფრო მაღალ დონეზე ასვლა. ადამიანი მიისწრაფვის უფრო და უფრო მეტი სიმაღლისკენ და ეს განაპირობებს მის ქცევებს.

როცა მოსწავლე აღწევს მაღალ შეფასებებს, მას ეზრდება თვითშეფასების ხარისხი და უჩნდება უფრო მეტის მიღწევის სურვილი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაბალი რანგის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემთხვევაში ადამიანს თანდათან ეზრდება მოტივაცია და იწყებს მორიგი საშუალებების ძებნას თვითაქტუალიზაციისათვის ზრუნვის გზაზე (ბერძენიშვილი ც. ლინკი რედაქტირებულია 18.10. 2019. http://mastsavlebeli.ge/?p=1572).

კოგნიტური თეორია (ლ. ფესტინგერი) ადამიანის ქცევების მოტივად მიიჩნევს სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ არსებული ცოდნის ურთიერთშესაბამისობისკენ, კონსონანსისკენ სწრაფვას. კოგნიტური თეორიით ადამიანი არის ცნობისმოყვარე, აქტიური არსება, რომელიც ეძებს ახალ-ახალ ინფორმაციებს პიროვნული პრობლემების გადასაჭრელად. ეს თეორია ადამიანის ქცევას განაპირობებს აზროვნებით და არა წამახალისებელი ან დამსჯელი ქმედებებით (როგორც ეს არის ბიჰევიორისტულ თეორიაში). ამდენად, კოგნიტური თეორია ორიენტირებას აკეთებს ბავშვის მოლოდინზე, პროგნოზირებაზე, გაგებაზე, თვითეფექტურობაზე და საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენაზე.

ამრიგად, მოტივაციასთან დაკავშირებულ კონცეფციებში ცენტრალური ფსიქიკური პროცესი, რომელიც ხსნის ქცევას, არის გადაწყვეტილების მიღება. თითქმის ყველა თეორიას, ჩემი აზრით, გააჩნია უარყოფითი მხარე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ყველა მათგანი განიხილავს მოტივაციის პროცესის მხოლოდ ცალკეულ მხარეს და არც ერთი არ ცდილობს მათ გაერთიანებას.

& 2. განწყობა და მოტივაცია

,,განწყობის თეორიის“ ავტორი, ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძეა. მისი აზრით, განწყობა ის მდგომარეობაა, რომელიც გამოხატავს ადამიანის მზადყოფნას, შეასრულოს კონკრეტული ქცევა. ამ თეორიიდან

გამომდინარე, თავდაპირველად აღმოცენდება განწყობა, ხოლო შემდეგ -- ქცევა. შესაბამისი განწყობის გარეშე ადამიანი ვერაფერს გააკეთებს, ვინაიდან მისი ქცევებისა თუ ფსიქიკური პროცესების მიმართულების მიმცემი და მამოძრავებელი სწორედ განწყობაა.

განწყობა არაცნობიერია და მასზე მოქმედებს ის გარემო, რომელშიც ადამიანი იმყოფება და რომელშიც მას უჩნდება მოთხოვნილება. განწყობა ადამიანს აძლევს ძალას, წარმართოს ფსიქიკური პროცესები.

,,განწყობა პირველად დიფუზიური სახით იჩენს თავს და მის ჩამოსაყალიბებლად სიტუაციის განმეორებითი ზემოქმედება ხდება ხოლმე საჭირო. განსაზღვრულ საფეხურზე შემდგომი ზემოქმედების შედეგად, განწყობა ფიქსირდება და ამიერიდან მის ფიქსირებულ ფორმასთან გვაქვს საქმე“ (უზნაძე დ., 2009:75).

განწყობის რამდენიმე სახე არსებობს. ესენია: დიფუზიური, მოტორული, სენსორული, გონებრივი, სოციალური.

განწყობა წარმოადგენს სუბიექტის როგორც გაუცნობიერებელი, ასევე გაცნობიერებული აქტივობის ფსიქოლოგიურ მექანიზმს, რომელიც ემსახურება სოციალური ქცევის როგორც უმარტივეს, ასევე, ურთულეს ფორმებს. სოციალური განწყობის გამომუშავების მექანიზმი დამოკიდებულია არა მარტო მოთხოვნილებებზე, სიტუაციებზე, მათ დაკმაყოფილებაზე, არამედ პიროვნების მიერ კონკრეტული ქცევის ჩადენის მოტივაციაზე. ეს დამოკიდებულია ეგრეთ წოდებულ დისპოზიციაზე, რომელშიც აღმოჩნდება საქმიანობის სუბიექტი.

დისპოზიცია არის სუბიექტის მზადყოფნა ქცევისადმი, მოქმედებისადმი, თავისი საქციელის შედეგისადმი. მოთხოვნილებაც, საქმიანობის სიტუაციაც და თვით დისპოზიციები ქმნიან იერარქიულ სისტემებს. განწყობა განსხვავდება ყველა სხვა ფსიქოლოგიური თავისებურებებისგან და მის წარმოქმნას ხელს უწყობს მოთხოვნილებისა და სიტუაციის ფაქტორები. აღნიშნული ფაქტორები განსაზღვრავს ქცევას, როგორც მიზანმიმართულ მოქმედებას. მიზანშეწონილი ქცევა უნდა შეესაბამებოდეს სიტუაციას. სწორედ ,,სიტუაციური ხატები“ აკონკრეტებენ ქცევის დაწყებამდე არსებულ განწყობის სტრუქტურას

დ. უზნაძის თეორიის თანახმად, შემეცნება მონაწილეობს განწყობის გამომუშავებაში, როცა ჩვეული ქცევა აწყდება წინააღმდეგობას და ადამიანი ობიექტურად აფასებს თავის საქციელს, გაიაზრებს მას, ანუ როცა ქცევის აქტი არის გააზრების საგანი. ამდენად, განწყობა ამ შეგნებული პროცესების საფუძველშია ჩადებული.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ქცევის პროცესში წარმოქმნილი ყველა ვითარება და ფაქტორი ვერ აისახება განწყობაში, რადგან ყოველი ახალი სირთულის წარმოქმნის შემთხვევაში, განწყობის სტრუქტურაში ახალ-ახალი ფსიქიკური პროცესები ერთვება. ასეთ პროცესებად შეიძლება მივიჩნიოთ აზროვნება, დამატებითი მოქმედებების დაგეგმვა, სენსომოტორული პროცესები.

,,ობიექტივაციის ინიციაციას არა მარტო ქცევის მოტივაციურ, არამედ ოპერაციულ სფეროში წარმოქმნილი პრობლემებიც ახდენენ. ,,ფსიქიკური სამუშაო“ კოგნიტური ფუნქციების საშუალებით ხორციელდება და ემსახურება ქცევის მოტივისა და მიზნის რეალიზაციას. თუ ეს ,,ფსიქიკური სამუშაო“ თეორიული ფსიქოგენური მოთხოვნილებით არის მოტივირებული, იგი დამოუკიდებელი ქცევის სახეს იღებს და შესაბამისი ქცევის განწყობით იმართება“ (იმედაძე ი., 2013:273).

ამრიგად, განწყობის თეორიის თანახმად, თუ ქცევა არაცნობიერია, მაშინ ის იმპულსურია, ხოლო ნებელობითი ქცევა იწყება მაშინ, როცა ჩნდება მოტივაციური კონფლიქტი, რითაც ხდება განწყობის ლიკვიდაცია და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ნებელობითი პროცესი, -- ახალი ქცევის ძიებისა და გააზრების პროცესი.

& 3. ფსიქოლოგიური თავისებურებები და მოსწავლეთა ტიპოლოგია

ფსიქოლოგია განასხვავებს მოსწავლეთა სხვადასხვა ტიპოლოგიას, რასაც განაპირობებს ბავშვის პიროვნული თვისებები, ხასიათი, ფიზიკური და სულიერი უნარ-ჩვევები და ა.შ. არსებობს მუდამ მომზადებული, აქტიური მოსწავლის

ტიპი, ცელქი და მოუსვენარი ტიპი, ჭირვეული ტიპი, ზარმაცი ტიპი, ნიჭიერი და ინტერესიანი და ა.შ.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აგრესიულ მოსწავლეთა ტიპებს. სამწუხაროდ, დღეს სკოლებში იმატა მოსწავლეთა შორის აგრესიამ, ბულინგის შემთხვევებმა, არამართებულმა ქცევებმა, უხეშობამ. როცა საუბრობენ აგრესიულ მოსწავლეებზე, გამოყოფენ მათ სხვადასხვა ტიპებს, კერძოდ:

- აგრესიული ჰიპერაქტიული ტიპი;
- აგრესიული ფხუკიანი ტიპი;
- აგრესიული გამომწვევი ტიპი;
- აგრესიული უგრძნობი ტიპი;
- აგრესიული მფრთხალი ტიპი;

თითოეული ეს ტიპი გამოკვეთილი თავისებურებებით ხასიათდება. ასეთ ბავშვებს უჭირთ ურთიერთობა სხვებთან, არ არიან დისციპლინირებული, მიჩვეული არიან იმას, რომ ოჯახში ,,კერპად“ თვლიან, ამიტომ ვერ ეგუებიან სასკოლო დისციპლინასა და შეზღუდვებს, არ გააჩნიათ სხვისადმი თანაგრძნობის უნარი.

- აგრესიული და ფხუკიანი ტიპის თავისებურებებს, გარდა არასწორი აღზრდისა, შეიძლება იწვევდეს ორგანიზმის მომწიფების თავისებურებები, ნერვული სისტემის გაღიზიანება, ფსიქიკური დაძაბულობა, გადაჭარბებული მგრძნობელობა და ა.შ.
- აგრესიული და გამომწვევი ტიპისთვის დამახასიათებელია უხეშობა, გულგრილობა, საკუთარი ქცევის მიზეზების სხვისთვის გადაბრალება.
- აგრესიული და მფრთხალი ტიპი ეჭვიანი და მტრულად განწყობილია. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს შიშით, მიღებული ტრავმით, გადატანილი საფრთხით.

- აგრესიული და უგრძნობი ტიპი ცივი, უგულო, აფექტური და აღგზნებადია. მას არ შეუძლია სხვისი თანაგრძნობა, უხეშად ექცევა გარშემომყოფებს და არ უფიქრდება, რომ თავისი საქციელით სხვას გულს ტკენს.

ბავშვის ფსიქიკური განვითარებიდან გამომდინარე განსაზღვრავენ ასაკობრივ თავისებურებებსაც. მაგალითად, დაწყებითი განათლების საფეხურზე ხდება აზროვნების თავისებურებების გამოვლენა. ვითარდება ძირითადი სააზროვნო ქცევები და უნარები, თუმცა ამ ეტაპზე ბავშვის მიერ ცოდნის ათვისება ფრაგმენტულია.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვში მრავალი პოზიტიური ცვლილება და გარდაქმნა მიმდინარეობს. ეს სენსიტიური პერიოდია სამყაროსადმი გაცნობიერებული დამოკიდებულების ფორმირებისთვის, სასწავლო უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის, ორგანიზებულობისა და თვითრეგულაციისთვის.

დაწყებითი სასკოლო ასაკის მთელს მანძილზე ვითარდება ცალკეული ფსიქიკური პროცესები. აღქმის უნარების სრულყოფა მიზანმიმართულ პროცესად იქცევა. ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებად მიჩნეულია ყურადღების არამდგრადობა, გაფანტულობა. გააზრებული დამახსოვრების ფორმირება, მეხსიერების მოცულობის ზრდა, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ამ ასაკში.

,,უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ხშირ შემთხვევაში მიზნად არ ისახავენ რაიმე დაიმახსოვრონ. დამახსოვრება და შემეცნება ხდება მათი ნებისა და შემეცნებისაგან დამოუკიდებლად. ისინი იმახსოვრებენ იმას, რასაც ყურადღებას აქცევენ, რამაც მათზე შთაბეჭდილება მოახდინა, რაც საინტერესო იყო (უზნაძე დ., 2009:241).

უმცროსკლასელები სენსიტიურები არიან თავისუფალი დამახსოვრების მაღალი ფორმებისთვის. მათთვის უფრო პროდუქტიულია გამეორება, საგნის აღდგენა მისი გარეგანი საშუალებებით (სურათებით), ასოციაციური კავშირებით, ხატოვნად წარმოსახვის მეთოდებით.

საბაზისო ეტაპზე ბავშვის თავისებურებები ვითარდება სწავლების ზეგავლენით. ბავშვი იწყებს განსაკუთრებული მნემური ამოცანის გაცნობიერებას და მას ყველა

დანარჩენი ამოცანისგან გამოყოფს. უკვე პირველ კლასში ბავშვებს უჩნდებათ დამახსოვრების აუცილებლობის უნარი, ისინი ხვდებიან, რომ რაღაც უნდა დაისწავლონ მექანიკურად, რაღაც გადმოსცენ თავისი სიტყვებით და ა.შ.“ (ფარჯანაძე დ., 2008:268). ფარჯანაძე დ., მეხსიერების ფსიქოლოგია, თბილისი, შპს ,,თათა სოლუშენი“, 2008

გარდა ზემოხსენებული თვისებებისა, უმცროსკლასელები ხასიათდებიან წარმოსახვის თავისებურებით. წარმოსახვა მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური უნარია და მისი განვითარება ორ სტადიას გადის: თავდაპირველად შექმნილი ხატები მიახლოებით წარმოაჩენენ რეალურ ობიექტს, მომდევნო ეტაპზე კი წარმოსახული საგნის ნიშან-თვისებების რაოდენობა იზრდება და ის უფრო სრულყოფილ სახეს იღებს.

,,სასწავლო პროცესში სხვა ფსიქოლოგიური პროცესების მსგავსად, იცვლება ბავშვების ზოგადი ემოციური ხასიათი. სასწავლო საქმიანობა დაკავშირებულია გაცნობიერებულ დისციპლინასთან, ყურადღების განვითარებასთან, მეხსიარებასთან. ეს ყველაფერი ზეგავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ სამყაროზე. უმცროს სასკოლო ასაკში შეიმჩნევა თავშეკავება ემოციების გამოვლენაში, მათი გაცნობიერება და ემოციური მდგომარეობის მდგრადობის ამაღლება“ (Семаго Н., 2010:85).

განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდებიან უფროსი ასაკის მოსწავლეები. განსაკუთრებით -- გარდატეხის ასაკში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია პუბერტატული პერიოდის სახელით. ეს ასაკი დაკავშირებულია ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებთან, ფიზიოლოგიურ თუ პიროვნულ კრიზისულ მომენტებთან.

გარდატეხის ასაკად გოგონებში მიჩნეულია 10-12 წელი, ვაჟებში კი -- 12-13 წელი. მოზარდებს უყალიბდებათ აბსტრაქტული აზროვნება. ამ ასაკის ძირითადი თავისებურება პიროვნული ზრდა, საკუთარი გზების ძიებაა.

,,ამ პერიოდში გარდაუვალია მშობლების ავტორიტეტის შესუსტება. მოზარდის ცხოვრებაში ჩნდებიან სხვა უფროსი ავტორიტეტები, რომელთაც ისინი ბაძავენ.

ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება თანატოლების აზრი, ე.წ. ,,დაჯგუფების რეაქცია“ ანუ მოზარდის სურვილი -- იტრიალოს თანატოლთა წრეში, სადაც მოქმედებს თავისებური მორალი“ (https://ndc.ge/> მოზარდობის ანუ გარდატეხის ასაკი).

გარდატეხის ასაკი ადამიანის ცხოვრებაში ფსიქოლოგიურ თავისებურებებს უკავშირდება. ბავშვს უჩნდება განცდა, რომ უკვე ზრდასრულია, აანალიზებს თავის შინაგან სამყაროს, ცდილობს თანატოლებში პრესტიჟის , ავტორიტეტის ამაღლებას, ურთიერთობები ეცვლება მშობლებთან, მასწავლებლებთან, თანაკლასელებთან, მის აზროვნებაში ყალიბდება ახლებური მორალური პრინციპები. გარდატეხის ასაკის ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური შენაძენი შინაგან სამყაროში წვდომა, თვითშემეცნებისა და თვითგარკვევის უნარის შეძენაა.

უფრო მაღალ კლასებში მოზარდს უჩნდება სასწავლო საქმიანობის სრულყოფის მოთხოვნილება, იწყება გეგმაზომიერი თვითკონტროლი და ამის საფუძველზე -- თვითგანათლებისი ხერხების დაუფლება. ხშირ შემთხვევაში მოზარდი არასტანდარტულ სასწავლო ამოცანებს ისახავს და შემოქმედებითად უდგება სწავლის საკითხს, უჩნდება შემეცნებითი მოტივები.

თვითგანათლების მოტივი უკავშირდება სამომავლო მიზნებსა და გეგმებს, პროფესიის არჩევანს, ცხოვრებისეულ პერსპექტივებს. ამ ასაკში მოზარდს უვითარდება ფართო მოქალაქეობრივი მოვალეობის სოციალური მოტივი. ამ ყველაფერს კი ხელს უწყობს კარგი გარემო -- ოჯახური აღზრდა. თუკი მოზარდს აქვს კეთილსასურველი ოჯახური პირობები, მისი სამოტივაციო სფერო ძლიერდება, უფრო მეტიც, ჩნდება თვითშემეცნების ახალი მოტივები. და თუკი მაღალი კლასების მოზარდს უყალიბდება მოტივებისა და მოთხოვნილებების მყარი სტრუქტურა,მ შუეიძლება მივიჩნიოთ, რომ ის უკვე ჩამოყალიბებულია, როგორც ინდივიდუალური პიროვნება.

უფროსი ასაკის მოზარდის ყველაზე მთავარი თავისებურება ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური თვალსაზრისით არის მიღწევების მოპოვების მოტივი, რომელიც

უკავშირდება წარმატებებისკენ სწრაფვას, წარუმატებლობის თავიდან აცილებას, საკუთარი თავის პატივისცემას, თვითშეფასებას და ა.შ.“ (Холл К. С., 2000:69).

ამრიგად, თითოეული ადამიანს, მათ შორის, ბავშვსაც გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პიროვნული და ფსიქოლოგიური თავისებურებები, რაც ქმნის მის ინდივიდუალობას, განასხვავებს სხვებისგან. ეს ვლინდება ბავშვის სხვადასხვა ტიპოლოგიაში -- ტემპერამენტში, ხასიათში, ჩვევებში, ინტერესებში, შემეცნებით უნარებში, ნიჭიერებაში, საქმიანობის ინდივიდუალურ სტილში და ა.შ. როგორც საკითხის განხილვამ გვიჩვენა, ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მოსწავლეთა თავისებურებების ასპექტებს. მიმაჩნია, რომ მასწავლებლისთვის აუცილებელია მათი ცოდნა და სწავლების პროცესში გათვალისწინება, რაც საშუალებას მისცემს სწორად წარმართოს სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა.

თავი II. მოტივაციის ფორმები

& 1. შინაგანი მოტივაცია

პედაგოგიკურ ფსიქოლოგიაში მოტივაცია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მცნებადაა მიჩნეული. მას განაპირობებს მოსწავლის შინაგანი ფაქტორები (ემოციები, განცდები, სხვადასხვა გრძნობა და ა.შ.), ასევე, გარეგანი სტიმულებიც. ესა თუ ის მოტივი უდევს საფუძვლად მოსწავლის მიზნებს, ამდენად, მოტივაცია წარმოადგენს სასურველი მიზნის მიღწევისკენ მიმართულ პროცესს.

სწავლის მოტივი არის მოსწავლის მიმართულება სასწავლო საქმიანობისაკენ. მაგალითად, თუკი ბავშვის აქტივობა მიმართულია შესასწავლი ობიექტისკენ, ამ შემთხვევაში საუბარი გვექნება შემეცნებითი მოტივების სხვადასხვა სახეზე. თუკი მოსწავლის აქტივობა სწავლის პროცესში მიმართულია სხვა ადამიანებთან ურთიერთობისკენ, ამ შემთხვევაში საქმე გვექნება სხვადასხვა სოციალურ მოტივთან. შესაბამისად, განარჩევენ მოტივების ორ დიდ ჯგუფს:

- შემეცნებითი მოტივები;
- სოციალური მოტივები.

შემეცნებითი მოტივები უშუალოდაა დაკავშირებული სასწავლო საქმიანობასთან, სწავლების პროცესებთან; სოციალური მოტივები კი დაკავშირებულია გარემომცველ სამყაროსთან ბავშვის უფრო ფართო ურთიერთდამოკიდებულებით. ამის მისაღწევად აუცილებელია მოსწავლეებში საკუთარი მოტივაციური სფეროსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოწვევა, მისი აქტიური გაანალიზების უნარის გამომუშავება და ქცევის მიზნებთან მათი შესაბამისობა.

გარდა ამ ჯგუფებისა, არსებობს მოტივაციის **შინაგანი და გარეგანი** ფორმები. შინაგან მოტივაციას ინტრინსიკული ეწოდება, ხოლო გარეგანს -- ექსტრინსიკული მოტივაცია.



შინაგანი მოტივაცია ეყრდნობა ადამიანის პიროვნულ თვისებებს, მის შინაგან ფაქტორებს, ინტერესებს, მოთხოვნილებებს, ღირებულებებს. შინაგანი მოტივაციის შემთხვევაში ბავშვი დიდი ინტერესით სწავლობს და ამისთვის არავითარ ჯილდოს არ ელოდება. მისთვის მთავარია, დაიკმაყოფილოს სწავლისადმი ინტერესი, რადგან მისი შინაგანი მოტივაცია მომდინარეობს საკითხის შესწავლის სურვილიდან.

შინაგანი მოტივაცია დამყარებულია მოსწავლის მოთხოვნილებაზე, -- გაზარდოს თავისი კომპეტენციები, სრულყოს საკუთარი თავი. ფსიქოლოგები თვლიან, რომ სწორედ მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაძლიერებისკენ უნდა წარმართოს მასწავლებელმა ძალისხმევა. თუმცა, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში მოსწავლეთა წარმატების მოტივაციას გარე ფაქტორებით ამაღლებენ.

დაბალი მოტივაციის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად დამატებითი სტრატეგიების დასახვაა საჭირო. ,,მაგალითად, ამა თუ იმ აქტივობის გეგმის შემუშავებით. ჩანაწერების გაკეთებით, შავი ნამუშევრის გადათეთრებით და სხვა. ამა თუ იმ აქტივობისთვის შესაფერისი სასწავლო სტრატეგიის შეთავაზებით მასწავლებელმა შესაძლოა საგრძნობი შედეგი მიიღოს მოსწავლის მოტივაციისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების კუთხით“(http://mastsavlebeli.ge?p=239).

შინაგანი მოტივირება განსაკუთრებით გამოვლენილია დაწყებითი განათლების ეტაპზე, მაგრამ მომდევნო კლასებში სწავლისადმი ინტერესი თანდათან იკლებს, სამაგიეროდ ძლიერდება გარეგანი მოტივაცია. შინაგანი მოტივაციის ასამაღლებლად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა

სტრატეგიას, მაგრამ ამას გარდა საჭიროა სასწავლო ატმოსფეროს გაუმჯობესება, სასწავლო გეგმის მოთხოვნების ჯეროვნად შესრულება, პედაგოგის პიროვნული თვისებები, მასწავლებლისა და მოსწავლის პოზიტიური პიროვნული ურთიერთობები.

თუ მასწავლებელი თვითონ არ კითხულობს ბევრს, ის ვერ შეძლებს მოსწავლეში აამაღლოს კითხვის შინაგანი მოტივაცია; თუ მასწავლებელს არ გააჩნია ყურადღებით მოსმენის უნარი, ის ვერ დაეხმარება ბავშვს მოსმენის მოტივაციის გაზრდაში. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ შინაგანი მოტივაციის ასამაღლებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის პირად მაგალითს.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა უნდა შეიმუშაოს ისეთი სტრატეგიები, რომ შინაგანად მოტივირებულ მოსწავლეს არ დაუქვეითდეს სწავლისადმი ინტერესი, ხოლო მათ, ვისზეც გარეგანი მოტივაციის ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, გაუზარდოს სასწავლო საგნისადმი ინტერესი. აღნიშნულ საკითხს ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმაც, სადაც აღნიშნულია:

,,მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და, პირიქით, იკლებს, თუ მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024, მუხლი 34).

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ მოსწავლის სასწავლო აქტივობაზე მოქმედებს როგორც შინაგანი, ასევე, გარეგანი ფაქტორები, ხშირ შემთხვევაში კი თითქმის შეუძლებელია იმის განსაზღვრა, მოტივაცია ინტრინსიკულია თუ ექსტრინსიკული.

მოტივაციის ამ ორ ტიპს შორის განსხვავება არის ინდივიდის ქცევის მიზეზი. გარეგანი მოტივაცია აქტივობას მიმართავს გარკვეული მიზნების მისაღწევად, შინაგანი კი განაპირობებს პირადი ინტერესებისკენ მიმართულ ქმედებებს.

ამრიგად, შინაგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეს სურს საგნის გაგება და ათვისება, სწორედ ამიტომ რეალური ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული ინტრინსიკული მოტივაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ექსტრინსიკული, რადგან როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, ,,ნამდვილი სწავლა შესაძლებელია მხოლოდ შემეცნებითი ინტერესის, ცოდნის წყურვილის, მაშასადამე, შინაგანი მოტივაციის პირობებში“.

& 2. გარეგანი მოტივაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსწავლის წარმატებაში წარმმართველია მოტივაციის ძალა. ის უშუალოდ განსაზღვრავს ბავშვის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სწავლის ნაყოფიერებას და მიღწეულ შედეგებს.

მოტივაციის დაყოფას ორ ჯგუფად -- შინაგან და გარეგან მოტივაციად -- ყველა ფსიქოლოგი იზიარებს, მაგრამ იმავე დროს მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ზოგიერთ სიტუაციაში მოტივაცია შეიძლება ერთდროულად მოიცავდეს როგორც შინაგან, ისე გარეგან ფაქტორებსაც. ასევე მიაჩნია დიმიტრი უზნაძესაც. მის მიერ წამოყენებული ქცევის ორმაგი ბუნების კონცეფცია ავითარებს აზრს, რომ ქცევა შეიძლება განპირობებული იყოს ერთდროულად შინაგანი და გარეგანი იმპულსებით.

ეს მოსაზრება სავსებით მართებულადაა მიჩნეული. ამის დასტურად ასეთი მარტივი მაგალითის მოყვანა შეიძლება: გალაკტიონის ლექსების დასწავლას შეიძლება პოეზიის მოყვარული მოსწავლის შინაგანი მოტივაციით იყოს განპირობებული, რადგან მას სიამოვნებას ანიჭებს გალაკტიონის პოეზია, მაგრამ იმავე დროს, ის ელის შექებას მასწავლებლისგან და, შესაბამისად, მაღალ

ქულასაც. ამდენად, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ეს თეორიები და ხელი შეუწყოს მოსწავლეებში როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაციის ზრდას.

გარეგანი ფაქტორებით მოტივირებული მოსწავლე სწავლობს იმიტომ, რომ ელოდება მაღალი ქულის მიღებას, მასწავლებლისა და მშობლისგან შექებას, წახალისებას და ა.შ.

გარეგანი მოტივაციის ფაქტორებზე, ისევე როგორც შინაგან მოტივაციაზე, გავლენას ახდენს მასწავლებლის ფაქტორი, რადგან, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მასწავლებლისადმი პატივისცემას ბადებს მისი პროფესიონალიზმი, კონკრეტული საგნის მაღალ დონეზე ფლობა, პიროვნული თვისებები და ა.შ.

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ზოგიერი მოტივი წარმოადგენს ბავშვში სწავლისადმი ინტერესის გაჩენის ეფექტურ მამოძრავებელ ძალას. პედაგოგის არსებითი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლის განვითარების თითოეულ ეტაპზე იპოვოს უფრო მეტად ადეკვატური მოტივები და მათ შესაბამისად ჩამოაყალიბოს ბავშვის წინაშე დასმული ამოცანები (Рубинштейн С. Л., 2000:547).

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლის დამოკიდებულება მასწავლებლისადმი, ძირითადად, კეთილგანწყობილია. დაწყებით კლასებში მათი მოტივაცია დაკავშირებულია ემოციებთან, დადებითი შეფასებების მიღებასთან. ეს არის სწავლის მოტივაციის საწყისი პერიოდი, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული ბავშვის ბედი მთელი სასწავლო პროცესის მანძილზე.

,,მასწავლებლის მოლოდინი გავლენას ახდენს მოსწავლეთა იმ შედეგებზე, რომელიც ამ მოლოდინებს უკავშირდება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი იზიარებდეს მოსწავლის განცდებსა და აზრებს, ამავდროულად, აუცილებელია, რომ მასწავლებელმა სხვადასხვა ხარისხის მხარდაჭერა შესთავაზოს მოსწავლეებს“ (mastsavlebeli.ge/?tag= 17 მაისი, 2019).

ამრიგად, მოტივაცია მოიცავს პიროვნული ნიშნისა და გარემოს ფაქტორებს, შინაგან და გარეგან ტენდენციებს. შინაგანად მოტივირებული მოსწავლე დარწმუნებულია, რომ სწავლა ფასეულია და მას მნიშვნელოვანი შედეგი

მოჰყვება. ეს ფაქტორი განასხვავებს ინტრინსიკული ანუ შინაგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეს ექსტრინსიკული ანუ გარეგანი მოტივაციის მქონესგან, რადგან ეს უკანასკნელი სწავლობს მხოლოდ ნიშნის მიღების, მხოლოდ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების გამო.

თავი III. მოტივაციაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენა

& 1. ბუნებრივი მოტივები

განათლების ახალი პარადიგმის მოთხოვნების შესაბამისად სკოლის მთავარი ამოცანაა განათლებული, უწყვეტი განვითარების უნარის მქონე შემოქმედებითი პიროვნებების მომზადება, რომლებსაც საკმაოდ ექნებათ ჩამოყალიბებული თვითდამკვიდრების მოტივაცია. სწორედ სასკოლო გარემოა ის უმთავრესი ფაქტორი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლისადმი დამოკიდებულებაზე, მის მოტივაციაზე.

როგორც ცნობილია, პედაგოგიკაში ,,ტერმინს ,,მოტივაცია“ იყენებენ მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობის, მისი სწავლის მიმართ ინტერესისა და დადებითი განწყობის აღნიშვნისთვის. მოტივაცია არ არის თანდაყოლილი და უცვლელი, როგორც, მაგალითად, თვალის ფერი. იგი საკმაოდ დინამიურია და მნიშვნელოვნად იცვლება ინდივიდუალური თუ ადამიანზე მოქმედი გარემო ფაქტორების ზეგავლენით“ (გაბაშვილი მ., 2010:84).

განათლების თანამედროვე სისტემა ის სოციალური ინსტიტუტია, რომლის ამოცანას შეადგენს არა მარტო მოზარდი თაობისთვის ცოდნისა და გამოცდილების გადაცემა, არამედ სრულფასოვანი და შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნების ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაც. ასევე, სკოლა მოწოდებულია, მოსწავლეს ჩამოუყალიბოს ისეთი უნარები, რაც ხელს შეუწყობს მის თვითგანვითარებას, თვითრეალიზაციას, წარმატებულობას. ყოველივე ამისთვის კი, უპირველსად, საჭიროა მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის სფეროს განვითარება.

მოტივაციაზე დიდ გავლენას ახდენს ბუნებრივი მოტივები, ისეთი შიდაპიროვნული ფაქტორები, როგორიცაა:

- ცნობისმოყვარეობა:
- თვითრწმენა;

- დამოკიდებულება;
- მოთხოვნილებები;

ცნობისმოყვარეობა ერთ-ერთი უმთავრესი ბუნებრივი მოტივია და მნიშვნელოვანი როლს ასრულებს სასწავლო პროცესში. ცნობისმოყვარეობა ბუნებრივი ქცევაა და ნიშნავს ადამიანის განზრახვას -- აღმოაჩინოს ის, რაც არ იცის. ცნობისმოყვარეობა ნებისმიერ ინდივიდს უბიძგებს სიახლეების გაგებისკენ, თავისი ინტერესების დაკმაყოფილებისკენ.

ცნობილია, რომ ბავშვი თავისი შინაგანი ბუნებით ცნობისმოყვარეა, ცდილობს გაიგოს ყველაფერი, რაც აინტერესებს. ცხადია, ეს ეხმარება გარემოსთან ადაპტაციასა და სხვადასხვა უნარების განვითარებაში, ახალი მოვლენების შემეცნებაში, საინტერესო იდეების გაჩენაში და ა.შ.. გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ცნობისმოყვარეობაა ინოვაციების მამოძრავებელი ძალა და სწავლის მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორი, მასწავლებელმა მიზნად უნდა დაისახოს ამა თუ იმ საკითხის შესწავლის პროცესში მოსწავლეს გაუღვივოს ცნობისმოყვარეობა.

მეორე ბუნებრივი მოტივი არის **თვითრწმენა.** საკუთარ ძალებში და უნარებში დარწმუნებული მოსწავლე უფრო აქტიურად ერთვება სასწავლო საქმიანობაში, უფრო მოტივირებულია წარმატების მისაღწევად. ამდენად, თვითრწმენის ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციაზე.

თვითრწმენა გარკვეულწილად ჰგავს მე-კონცეფციას, რომელიც სწავლების რეზულტატის უნიშვნელოვანი მოტივაციური ფაქტორია. განსაკუთრებით მოზარდობის პერიოდში მოსწავლე იწყებს საკუთარი აზროვნების გაანალიზებას. ,,მოზარდში ვითარდება მეტაკოგნიცია, მეტაშემეცნება. ამ ბიძგის შემდეგ იგი იწყებს ფიქრს იმაზე, თუ რა შეუძლია, რას წარმოადგენს, როგორია. გამუდმებით მიმდინარეობს საკუთარი თავის წარმოსახულ იდეალთან შეფასების პროცესი“ (თევდორაშვილი დ., 2010:8).

თვითრწმენა ეხმარება მოსწავლეს გაუმკვლავდეს სხვადასხვა გამოწვევას, ცდილობს გამოიყენოს სწავლის ეფექტური სტრატეგიები, შესაბამისად, მისი აკადემიური მოსწრებაც უფრო მაღალია, ვიდრე ნაკლებად თავდაუჯერებელი

მოსწავლისა, რომელიც მიზნის მისაღწევად ნაკლებად შეუპოვარია, აქვს არაკომპეტენტურობის განცდა, სტრესისა და შფოთვის შეგრძნებები.

ის მოსწავლეები, რომლებიც დარწმუნებული არიან საკუთარ თავში და ჩამოყალიბებული აქვთ სასწავლო მიზნები, არ უშინდებიან სწავლის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებს და საბოლოოდ უყალიბდებათ სწავლის გაგრძელების მდგრადი ინტერესი. ასეთ მოსწავლეებს ფსიქოლოგები ურჩევენ, გამოიყენონ დამახსოვრების, საკუთარი თავის გამოკითხვის, ინტელექტის ამაღლების სტრატეგიები და არ დაისახოს მიუღწეველი მიზნები.

რაც შეეხება საკუთარ თავში დაურწმუნებელ ანუ დაბალი თვითშეფასების მქონე მოსწავლეს, ის თვლის, რომ მაინც არაფერი გამოუვა და ამიტომ სწავლას უკლებს და უქვეითდებას ცოდნის მიღების მოტივაცია. ამდენად, მოსწავლის პიროვნული თვისებები მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, თვითშემეცნება კი უშუალო კავშირს ახდენს ცოდნის მიღების ხარისხზე.

,,თვითშემეცნებაზე, საკუთარი ,,მე"-ს ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს სხვა ადამიანებთან დამყარებული კონტაქტები, ოჯახური გარემო, სოციალურად მიღებული ან მიუღებელი ნორმები,. საკუთარ თავზე წარმოდგენა შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ რეალურ ქმედებებს, რასაც ადამიანი სჩადის, ამიტომ საუბრობენ ხშირად რეალური ,,მე"-ს ან შესაძლო ,,მე"-ს და არშემდგარი ,,მე"-ს შესატყვისობაზე" (Казанская В., 2008:18).

როგორც ვიცით, ადამიანი **დამოკიდებულია** გარე სამყაროს აღქმაზე, ემოციებზე, პირად დამოკიდებულებებზე, კულტურაზე, რწმენაზე, ოჯახურ ტრადიციებზე, გარემომცველ საზოგადოებაზე და ა.შ. ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციის ხარისხზე და მასწავლებლის დანიშნულებაა იზრუნოს ბავშვებში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე, მისცეს მათ სწორი მიმართულება ფაქტების, მოვლენების, იდეების, ადამიანების შეფასებაში.

,,დამოკიდებულების შეცვლაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი გარემო, სადაც ღირებულებების, კულტურული და საზოგადოებრივი ნორმების შეფასება-გადაფასება სულ უფრო ინტენსიურად

მიმდინარეობს. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, საინფორმაციო საშუალებები და სხვა გამუდმებით ცდილობენ, შეცვალონ ადამიანის ფიქრები, ემოციები, განცდები ამა თუ იმ საკითხისა თუ მოვლენის მიმართ. აი, ამ რთულ ინფორმაციულ გარემოში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეასრულოს გზამკვლევის როლი მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში“ (http://dictionary.css.ge/content/motivation, ლინკი რედაქტირებულია 21.01. 2019).

ბუნებრივ ფაქტორთაგან, რომლებიც გავლენას ახდენენ მოტივაციაზე, ერთ-ერთი მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები ანუ **მოთხოვნილებებია**. თითოეულ ადამიანს საკუთარი, სხვისგან განსხვავებული მოთხოვნილებები აქვს, თუმცა არსებობენ ისეთებიც, რომლებიც განზოგადებულია. მათ კლასიფიკაციას გვაძლევს ფსიქოლოგი ა. მასლოუ.

მასლოუს კლასიფიკაციით არსებობს მოთხოვნილებათა ხუთი კატეგორია:

- ბიოლოგიური (კვება, წყურვილი, ძილი და ა.შ.);
- უსაფრთხოება (დაცულობის განცდა, სტაბილურობა და ა.შ.);
- კუთვნილება და სიყვარული (ოჯახის წევრები, გუნდი, ადამიანური ურთიერთობები...);
- საკუთარი თავის პატივისცემა და აღიარება (წარმატების მოპოვება, რეპუტაციის შექმნა და ა.შ.);
- თვითრეალიზავიის მოთხოვნილება.

გარდა ბუნებრივი მოტივებისა, სწავლა-სწავლების მოტივაციას განსაზღვრავს გარე ფაქტორებიც. მოსწავლის მოტივაციური სფეროს ფორმირება ნიშნავს სკოლაში ყველა იმ პირობის შექმნას, რაც ბავშვში გააღვივებს შინაგან მოტივებს, მიზნებსა და ემოციებს, შემდეგ კი მოხდება მოსწავლის მიერ მათი გაცნობიერება და თავისი მოტივაციური სფეროს შემდგომი თვითგანვითარება (Ильин Е. П., 2006:307).

ერთ-ერთი ფაქტორია **მოსწავლის ფაქტორი.** ,,მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან აკადემიური უნარების მიხედვით, ინტელექტის ტიპით, სოციალური თუ კულტურული გამოცდილებით, სურვილებით, დამოკიდებულებებით, მოლოდინებით... მათი განმსაზღვრელი მახასიათებლებია: აკადემიური უნარები, ინტელექტის ტიპი, სოციალური გამოცდილება, კულტურული გამოცდილება, სურვილები, დამოკიდებულებები, მოლოდინები“ (http:// mastsavlebeli.ge/ რედაქტირებულია - 15 მაისი, 2021).

მოსწავლის მოტივაციაზე გავლენას ახდენს ის გარემო, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კეთილგანწყობილ, პოზიტიურ, უსაფრთხო, კომფორტულ, საინტერესო გარემოს, სადაც მოსწავლებს არავინ დასცინებს, სადაც ის არ გახდება აბუჩად აგდების ან ბულინგის მსხვერპლი, სადაც მის აზრს (თუნდაც მცდარს) მოისმენენ და ა.შ.

ასეთ **სასწავლო გარემოში** მოსწავლეები უფრო მეტად აქტიურები ხდებიან, შესაბამისად, იზრდება საგაკვეთილო საქმიანობაში მათი ჩართულობა და პირიქით, მცირდება მოსწავლის ქცევის წესებისათვის მიუღებელი გამოვლინებები. დროის უმეტესი ნაწილი კი ეთმობა სწავლებას, სწავლას, ინტერესთა სფეროს გაფართოებას, ზნეობრივი და მორალური ღირებულებების განვითარების ხელშეწყობას.

მოტივაციის ჰუმანისტური მიდგომის თანახმად სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ორ ასპექტს: 1. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ჩამოყალიბებულ კარგ ურთიერთობას; 2. კარგი საკლასო გარემოს შექმნას.

ამ ორი ელემენტის მისაღწევად ,,საჭიროა შემდეგი პრინციპების გამოყენება:

ა) მოსწავლეს მოექეცი, პირველ რიგში ისე, როგორც პიროვნებას და შემდგომ, როგორც მოსწავლეს;

ბ) გქონდეს მოსწავლის მიმართ უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება, განაცალკევეთ მათი ქცევა მათი შინაგანი ფასეულობებისაგან;

გ) შექმენით უსაფრთხო და მოწესრიგებული საკლასო გარემო, შექმენით მათი კარგი სწავლის მოლოდინი“ (https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/202-3.pdf).



წყარო: ინტერნეტი

კარგი სასწავლო გარემო,ერთი მხრივ, მოსწავლეებს შორის და, მეორე მხრივ,მოსწავლე- მასწავლებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც ზრდის მოსწავლის აკადემიურ დონეს, ამაღლებს სწავლის მოტივაციას.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მოტივაციის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება. **სწავლების ეფექტური მეთოდები და სტრატეგიები** გამორჩეული ფაქტორია სასწავლო მოტივაციის ასამაღლებლად. მოტივაციაზე მოქმედი დადებითი ფაქტორების ამაღლებისა და ნეგატიურის კორექტირების მიზნით მასწავლებელმა კომპლექსურად უნდა გამოიყენოს ყველა ის გზა და ხერხი, რაც დამკვიდრებულია პრაქტიკაში, მათ შორის:

- სოციალური და კოგნიტური მეთოდების შერწყმა;
- თანამშრომლობითი სწავლების მეთოდის გამოყენება;
- სასწავლო-შემეცნებითი თამაშები;
- დისკუსიები;
- ემოციური სტიმულირების მეთოდები და სხვა.

სასწავლო პროცესში აუცილებელია მასწავლებლის მიერ არჩეული მასტიმულირებელი მეთოდები გარდაიქმნას დადებით მოტივაციაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის სურვილსა და აქტივობას ახალი მასალის ასათვისებლად. ამდენად, მასწავლებლისა და მოსწავლის საქმიანობა უნდა იყოს ურთიერთშერწყმული, ერთიანი.

მოტივაციაზე მოქმედებს **შინაარსის ფაქტორიც,** რაც იმას ნიშნავს, რომ საგანი ან ესა თუ ის საკითხი, რომელსაც ბავშვი სწავლობს, მიწოდებული იქნას გასაგებად, გარკვევით, დროულად, ყოველდღიურობასთან კავშირში და მრავალმხრივი ხედვით, რითაც უფრო საინტერესო, აქტუალური და გასაგები გახდება კონკრეტული საკითხის შინაარსი.

მოსწავლის მოტივაციის ამაღლებაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს **სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა.** ეს ფაქტორი ხელს უწყობს ბავშვის გააქტიურებას, პოზიტიური შედეგების მიღწევას, აკადემიური მოსწრების ამაღლებას. აღნიშნულ საკითხზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

ამრიგად, მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორი მრავალგვარი და მრავალფეროვანია. ყოველი მათგანის ხელშეწყობა თუ გააზრება განავითარებს მოსწავლეთა სწავლის უნარებს. ზემოაღნიშნული ფაქტორების სასწავლო პროცესში გათვალისწინება მასწავლებელს საშუალებას მისცემს, შექმნას ეფექტური სასწავლო გარემო, რომელშიც აქტიურად იქნება ჩართული თითოეული მოსწავლე.

& 2. მშობელთა ჩართულობა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ოჯახი, როგორც სოციალურ-ბიოლოგიური წარმონაქმნი, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მთელი საზოგადოებისა და ცალკეული პიროვნებების ცხოვრებაში. ყველა სახელმწიფო დაინტერესებულია ოჯახის ინსტიტუტის სიძლიერით, რადგან ოჯახი არის ერის მენტალური თავისებურებების მატარებელი.

არსებობს ოჯახის სხვადასხვაგვარი განმარტება. მაგალითად, ენციკლოპედია განმარტავს, რომ ,,ოჯახი საზოგადოების სპეციფიური ქვესისტემაა. ის ქორწინებისა თუ ნათესაობის საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფია, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, ურთიერთმხარდაჭერითა და მორალური პასუხისმგებლობით“ (ქართული საბჭ. ენციკლოპედია, 1980:408).

სხვა განმარტებით, ..ოჯახი ემოციურ ურთიერთობათა ინსტიტუტია. თითოეული ბავშვი ოჯახში ელოდება სიყვარულს. ამ ფუნქციის გარდა, ოჯახი ასრულებს სოციალიზაციის ფუნქციასაც, სწორედ აქ იღებს ბავშვი პირველ სოციალურ გამოცდილებას, უკავშირდება სოციალურ გარემოს“ (ჭკუასელი ქ., 2010: 47).

,,ოჯახი კაცობრიობის მიერ შექმნილი უდიდესი ფასეულობა, კულტურული სოციუმის საფუძველია. ვერც ერთი კულტურული საზოგადოება ვერ უვლის გვერდს ოჯახის ინსტიტუტს. ტრადიციული ოჯახი არის სხვადასხვა ხალხებისა და ერების კულტურული პოტენციალის უმთავრესი წყარო“ (Гребенников И., 1991:146).

ბავშვის აღზრდა-განათლებაში სკოლასთან ერთად ოჯახიც მონაწილეობს. დღეს სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სწორედ ოჯახია ის ქვაკუთხედი, სადაც მიმდინარეობს პიროვნების ფორმირება, მისი ზნეობრივ-მორალური განვითარება და აღზრდა-განათლება.

,,ტერმინი ,,მშობელთა ჩართულობა“ აღნიშნავს ერთობლივ და უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებსა და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც შინ, ასევე სკოლაში. ის აერთიანებს მ,შობლებსა და მასწავლებლებს, რათა მათ ერთიანი ძალისხმევით შეუწყონ ხელი მოსწავლის აკადემიური მიღწევის გაუმჯობესებას. მშობელთა ჩართულობა ნიშნავს მშობლოების მონაწილეობას რეგულარულ, მრავალმხრივ კომუნიკაციაში, მოსწავლის სასწავლო პროცესში და სკოლის სხვადასხვა ღონისძიებაში“ (მშობელთა ჩართულობა, 2015:3).

ის ბავშვები, რომელთა მშობლები ჩართული არიან სასკოლო ცხოვრებაში და შვილის განათლების პროცესში, უფრო მოტივირებული არიან, აქვთ წარმატების

მიღწევის მოტივაცია, სწავლის გაგრძელების სურვილი და ინტერესი. როცა მშობელი აქტიურად მონაწილეობს შვილის განათლებაში, მასთან ერთად კითხულობს ან ეხმარება დავალებების მომზადებაში, განიხილავს სკოლაში მიმდინარე პროცესებს, დაინტერესებულია სასკოლო თუ საკლასო საქმეებით -- ეს ყველაფერი პოზირიურად აისახება ბავშვის ფსიქიკაზე, მის ინტერესებზე, ცოდნის მიღებისადმი დამოკიდებულებაზე და საბოლოო ჯამში, მას უჩნდება მოტივაცია ისწავლოს უკეთ, იკითხოს ბევრი, შეიმეცნოს და გაიაზროს ახალ-ახალი ინფორმაციები.

,,ოჯახს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ცნობიერების ფორმირებაზე. ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში ოჯახი დებს ბავშვში გარკვეულ წარმოდგენას გარემომცველ სამყაროზე, უქმნის მას აზროვნებისა და ქცევების გარკვეულ სტერეოტიპებს, დამახასიათებელს მოცემული საზოგადოებისთვის“ (დავითაშვილი ნ., 2008:8).

ბავშვის აღზრდა-განათლებაში პედაგოგისა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას ჯერ კიდევ უძველეს დროში აქცევდნენ ყურადღებას. რომაელი პედაგოგი ფაბიუს კვინტილიანე (I საუკუნე) აღნიშნავდა, რომ ჩვილი საწყის ეტაპზე ოჯახში, მშობლების ყურადღების ქვეშ უნდა იზრდებოდეს, შემდეგ კი მაღალკვალიფიციური მასწავლებლის ზედამხედველობით“ (ხუხუა გ., 1998:37).

მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ასპექტია, აქედან გამომდინარე, ეს საკითხი საქართველოში სხვადასხვა ნორმატიული აქტით რეგულირდება. ესენია:

- საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“;
- ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის მე-18 მუხლი ითვალისწინებს სხვადასხვა აქტივობის განხორციელებაში მშობლების ჩართულობას;
- სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის მიხედვით დირექტორი მოვალეა, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვისას გაითვალისწინოს მშობელთა ინტერესები;

- საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტი, რომლის თანახმად, დირექტორმა ხელი უნდა შეუწყოს მშობელთა ჩართულობას სასწავლო პროცესში;

- მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი პედაგოგს ავალდებულებს, რომ მას ჰქონდეს მშობელთან ინტენსიური კომუნიკაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხის თაობაზე;

- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, პედაგოგმა ინიციატივა უნდა გამოიჩინოს მშობლებთან ურთიერთობაში და უზრუნველყოს მათი ჩართულობა.

,,მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის პრაქტიკის შესწავლას აქტუალურს ხდის მსოფლიო და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემენში არსებული ტენდენციები. 2020 წლიდან საერთაშორისო კვლევითმა ინსტოიტუტმა RTI International დაიწყო საბაზისო განათლების პროგრამა ქვეყნის ყველა საჯარო სკოლაში. პროგრამის მიზანია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ინსტიტუციონალიზაცია. ამ მასშტაბური ძალისხმევის ერთ-ერთი საკვანძო მიმართულებაა მშობელთა სასკოლო ჩართულობა, სკოლებისა და მშობლების შედეგიანი თანამშრომლობის დანერგვა“ (სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა, 2020:8).

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ სკოლა ოჯახის გარეშე ვერ მიაღწევს მიზანს, რომელიც დასახულია ეროვნული სასწავლო გეგმით. ამ გეგმის თანახმად, სკოლა მოვალეა მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს აზროვნების, ფიქრის უნარ-ჩვევები, აღძრას მათში პასუხისმგებლობა, ცნობისმოყვარეობა, ინტერესი სწავლისადმი. ცხადია, ეს მიიღწევა ორმხრივი თანამშრომლობით. მოსწავლოეები, რომელთა მშობლები ჩართული არიან სასკოლო ცხოვრებაში, გამოირჩევიან აქტიურობით, კარგი დისციპლინით, სწავლის მოტივაციით, მაღალი აკადემიური მოჩვენებლებით.

,,ეფექტიანი მშობელი ერთგვარი კონსულტანტია, რომელიც აყალიბებს სწავლისადმი მოტივაციას, კარგი ურთიერთობების ჩვევებს. შვილთან ყოველი საუბრისას თითო აგურს ამატებთ თქვენი ურთიერთობის სტრუქტურას (გორდონი თ., 2017:68).

ზემოთქმულის გარდა, მშობელი უნდა აკონტროლებდეს შვილის დროს და მიაჩვიოს იგი დროის სწორად განაწილებას. ადამიანმა ბავშვობიდან უნდა ისწავლოს დროის დაგეგმვა ანუ სინქრონიზაცია. ეს აუცილებელია მისი შესაძლებლობების ამომწურავად გამოყენებისთვის. ,,ამ პროცესში იგი ახდენს თავისი ფასეულობებისა და შეხედულებების რეალიზებას, იღვწის, დაამკვიდროს დროში თავისი თავი და შინაარსი მისცეს თავის ცხოვრებას (ხარხელი მ., 2016:32).

ცხადია, დროის სწორად ორგანიზებაში ბაქვშვს დახმარება სჭირდება. განსაკუთრებით გართულდა ეს საკითხი ტექნლოგიების გავლენის ქვეშ მოქცეულ მომავალ თაობასთან, რადგან ბავშვები დამოკიდებული გახდნენ ტექნოლოგიებზე და დრო აღრ რჩებათ სწავლისთვის, წიგნის კითხვისთვის. დღეს საგანმანათლებლო სივრცეშიც და ფსიქოლოგიური კვლევების წინაშეც ძალზე აქტიურად დგას საკითხი, თუ რა ტრანსფორმაციას განიცდის მოზარდის თვისებები ციფრული მედიების ზეგავლენის შედეგად.

თანამედროვეობაში უკვე უცხო აღარ არის საუბარი იმაზე, რომ ციფრულმა ერამ შეცვალა ღირებულებათა სისტემა და რომ მოზარდები მუდმივად იმყოფებიან ვირტუალურ სამყაროში. სწორედ აქ უმნიშვნელოვანესია მშობლის ავტორიტეტი, მისი ჩართულობა ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებისა და სწავლისადმი მოტივირებული დამოკიდებულების საკითხში.

,,თუ ბავშვი მოკლებულია მშობელთა ყურადღებას და თავის დროს არაორგანიზებულად, უშინაარსოდ და უწესრიგოდ ატარებს, ეს უარყოფითად აისახება მის სწავლაზე და ხასიათის ჩამოყალიბებაზე. მოზარდი ბუნებითაქტიურია, მასარშეუძლიახანგრძლივიუმოძრაობა.უფროსებისვალიაბავშვისაქტივობაპედაგოგი ურიამოცანებისშესატყვისადწარმართონ. თუასეარმოხდა,ბავშვმა შეიძლება თავად აირჩიოს აქტივობის ისეთი გზა, რომელიც მას დანაშაულამდე მიიყვანს“ (დარჩია დ., 1970:55).

შვილის ყველა მიღწევა მშობელმა მნიშვნელოვნად უნდა ჩათვალოს. ეს თვითრწმენას და თავდაჯერებულობას შემატებს ბავშვს, ასევე, მის თვალში

აამაღლებს შესრულებული დავალების მნიშვნელობას. თვით მოზარდის თვითშეფასებაც ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად ხედავენ მშობლები მის ღირსებებს, უჭერენ თუ არა მხარს, რამდენად აინტერესებთ მისი აზრი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რამდენად აქებენ და აგულიანებენ მას.

არის შემთხვევა, როცა ბავშვი ვერ გებულობს დავალების შინაარსს. მშობელმა დახმარება უნდა გაუწიოს მას, დაუსვას შეკითხვები მოცემულ საკითხზე, მოაძებნინოს ინფორმაცია, აუხსნას და ა.შ. მაგრამ არავითარ შემთხვევაში თავად არ შეასრულოს შვილის დავალება. პირიქით, შეაგულიანოს იგი ასეთი სიტყვებიოთ: ,,მჯერავს, შენ შეძლებ ამ დავალების შესრულებას“ ან ,,უფრო ღრმად ჩაუფიქრდი, შენ გაქვს უნარი, დაწერო ეს დავალება“ და ა.შ. მსგავსი მეთოდებით მშობელი საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენის განმტკიცებაში დაეხმარება შვილს, რაც გაუძლიერებს მას სწავლის მოტივაციას.

დღეს რთულია მშობელმა მთელი დრო დაუთმოს შვილის სწავლა-განათლებას, რადგან ის თავად შეზღუდულია დროში, მაგრამ, ჩემი აზრით, უმჯობესია შვილის აღზრდაზე დაიხარჯოს მეტი დრო, ვიდრე ტელეფონით, აიფონით, კომპიუტერითა თუ ტელევიზიით გართობაზე. ოჯახის წევრებს შორის კომუნიკაცია კი არ უნდა გაართულოს თანამედროვე ტექნოლოგიებმა, არამედ მათი შემეცნებითი თვალსაზრისით გამოყენებამ კიდევ უფრო უნდა დააახლოვოს ისინი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ XXI საუკუნის ახალგაზრდობა დააცილა წიგნს, რასაც მოჰყვა განათლების დონის შემცირება, სწავლისადმი მოტივაციის ხარისხის დაწევა, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ჭკვიანი მშობელი ტექნოლოგიებს გამოიყენებს საგანმანათლებლო ინფორმაციების მოძიებაში, შვილს დააინტერესებს ამ ინფორმაციებით და უფრო საინტერესოს გახდის მისთვის ყოველი გაკვეთილის შესწავლას.

,,მშობლის მონაწილეობა შვილის აღზრდა-განათლების პროცესში დიდ გავლენას ახდენს ბავშვის განვითრებაზე. მოსწავლეები, რომლეთა მშობლები აქტიურობენ მათი განათლების საკითხებში, მათი შვილები უფრო მაღალ ქულებს იღებენ, უფრო ხარისხიანად ასრულებენ საშინაო დავალებებს, გამოირჩევიან პოზიტიური

ქცევით, კეთილგანწყობილებით სკოლისა და ამხანაგების მიმართ და, რაც მთავარია, აქვთ საკუთრი თავისა და შესაძლებლობების რწმენა (ლობჟანიძე ს., 2013:22).

იმისათვის, რომ მშობელმა შეძლოს შვილის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა, მისთვის დახმარების გაწევა, ცხადია, თავადაც ბევრი უნდა იკითხოს, გაეცნოს ახალ მეთოდოლოგიას, ფსიქოლოგთა რჩევებს, ამას შეძლებს მხოლოდ სკოლასთან, მასწავლებლებთან აქტიური თანამშრომლობით.

ადამიანის ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ორი აღმზრდელი -- სკოლა და ოჯახი არა მარტო მოქმედენებ ერთსულოვნად, არამედ ითვლებიან თანამოაზრეებად, იზიარებენ ერთსა და იმავე რწმენას, ემყარებიან ერთი და იმავე პრინციპებს და არასოდეს არ ურიგდებიან განსხვავებას აღზრდის არც მიზანში, არც პროცესში, რც საშუალებებში“ (პედაგოგიკის ისტორია, 1964:73).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მშობელს გააზრებული უნდა ჰქონდეს სწორი, დემოკრატიული მეთოდებით აღზრდის მნიშვნელობა, მან ხელი უნდა შეუწყოს შვილს განათლებულ, ზნეობრივად განვითარებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში. თუკი მშობლის ქცევებში შერწყმული იქნება მზრუნველობა, კონტროლი, დაინტერესება, მომთხოვნელობა, ყურადღება და დისციპლინა, თუკი ის ჩართული იქნება სასკოლო ცხოვრებაში, მაშინ მოზარდს ჩამოუყალიბდება სასწავლო აქტივობა, გახსნილობა, გარშემომყოფთადმი პოზიტიური დამოკიდებულება, მაღალი თვითშეფასება და განათლების მიღების მოტივაცია.

IV. მოტივაცია თანამედროვე სკოლის პრაქტიკაში

თანამედროვე სკოლის პრობლემათაგან ერთ-ერთი მოსწავლეთა სწავლის მოტივაციაა. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ მაღალ აკადემიურ მოსწრების განმაპირობებელი არა მარტო ბავშვის უნარებია, არამედ სწავლების მეთოდოლოგია, მასწავლებლის კომპეტენცია, სახელმძღვანელოები, სასწავლო გეგმა და სხვა.

სწავლა-სწავლებაში მოტივაციის ასამაღლებლად დიდ როლს ასრულებს სწორად შერჩეული სტრატეგიები როგორც მშობლების, ასევე, მასწავლებლების მხრიდან. ამისათვის მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს თავისი მოსწავლეების შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. ეს დაეხმარება მას მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო მეთოდების შემუშავებაში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ,,მოტივაცია“ მოუწოდებს მასწავლებლებს, აღმოაჩინონ მოსწავლის ძლიერი მხარეები, შეამჩნევენ თუ არა მას რაიმე ღირებულს, მაშინვე უთხრან ამის შესახებ. გამოავლინონ რწმენა საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობების მიმართ. ამაში პედაგოგებს დაეხმარებათ შემდეგი ტიპის კომენტარები: ,,შენ იმ მოსწავლეთა რიცხვს მიეკუთვნები, რომელთაც შეუძლიათ ამის გაკეთება“ ან ,,მე ვიცი, რომ შენ შეძლებ ამის გაკეთებას“. ზემოაღნიშნული ცენტრი ურჩევს მასწავლებლებს, არასოდეს უთხრათ მოსწავლეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სიმართლეა: -- ,,შენთვის ესეც კი არ არის ცუდი შედეგი“.

ასეთი მოდგომით მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეს და გაუჩენს მისი საგნის სწავლის მოტივაციას.

,,ყველა მასწავლებლის მიზანია, მოსწავლემ დამოუკიდებლად შეასრულოს დავალება. ამ მიზანს კი სწორად შერჩეული, საინტერესო და მათ შესაძლებლობაზე მორგებული დავალებებით მივაღწევთ. მოსწავლეებს ყველაზე მეტად იმ დავალებების შესრულება მოსწონთ, რომელიც კარგად გამოსდით,

ასეთ შემთხვევაში ისინი თავს კარგად გრძნობენ და საკუთარ შესაძლებლობებში რწმუნდებიან. მოსწავლე უნდა ხედავდეს დავალების მიზანს, მის საჭიროებას, კავშირს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის“ (ესგ, 2011-2016).

კვლევა ანკეტირების მეთოდით

კვლევა ჩავატარეთ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს № 1 საჯარო სკოლის ბაზაზე. კვლევაში მონაწილეობდ 20 ბავშვი: 7 ვაჟი; 13 გოგონა.

ასაკი: 8-9 წელი (II – III კლასები).

კვლევის მეთოდი: ანკეტირება ,,სასწავლო საქმიანობის მოტივები".

კვლევის მიზანი: მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობის ყველაზე გავრცელებული და წამყვანი მოტივების გამოვლენა

გამოკითხვის ანკეტა № 1

1. ვსწავლობ იმიტომ, რომ გაკვეთილები საინტერესოა (**მოტივაცია პროცესით)**

ა) დიახ; ბ) არა; გ) ნაწილობრივ

2. ვსწავლობ იმიტომ, რომ მშობლები მაიძულებენ (**თავიდან არიდების მოტივაცია**

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

3. ვსწავლობ იმიტომ, რომ კარგი ქულების მიღება მინდა (**კეთილდღეობის მოტივი)**

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

4. ვსწავლობ იმიტომ, რომ მომწონს სიახლეების გაგება (**გააზრებული მოტივაცია)**

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

5. ვსწავლობ იმიტომ, რომ მინდა მეტი ვიცოდე (**გააზრებული მოტივაცია)**

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

6. ვსწავლობ იმიტომ, რომ მინდა ვიყო პირველი მოსწავლე (**პრესტიჟულობის მოტივაცია)**

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

7. ვსწავლობ იმიტომ, რომ მომწონს მასწავლებელი (**ვიწრო სოციალური მოტივი)**

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

კვლევის შედეგი:

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებში დომინირებული ადგილი უჭირავს შემდეგ მოტივებს:

- კეთილდღეობის მოტივაცია აქვს მოსწავლეთა 30%-ს;

- მოტივაციაა შინაარსით აქვს მოსწავლეთა 25 %;
- მოტივაცია პროცესით აქვს მოსწავლეთა 12%-ს;
- თავის არიდებისა და ვიწრო სოციალური მოტივები აქვს მოსწავლეთა 4 %-ს;
- პრესტიჟულობის მოტივაცია აქვს 2%-ს.

გამოკითხვის ანკეტა № 2

ჩვენს მიერ გამოიკითხა 7-8 წლის 100 მოსწავლე;

გამოკითხვის მიზანი:

- სკოლისადმი ბავშვების დამოკიდებულების კვლევა;
- ემოციური რეაგირება სასკოლო საკითხებზე;
- სასწავლო პროცესისადმი დამოკიდებულება;
- სასწავლო მოტივაციის დონის გარკვევა.

1. მოგწონს სკოლაში?

ა) არც ისე; ბ) მომწონს; გ) არ მომწონს

2. მოგწონს, როცა რომელიმე გაკვეთილი გიცდება?

ა) არც ისე; ბ) მომწონს; გ) არ მომწონს

3. გინდა, რომ საშინაო დავალებებს არ გაძლევდნენ?

ა) დიახ; ბ) არა; გ) არ ვიცი

4. ხშირად უყვები მშობლებს სკოლის შესახებ?

ა) დიახ; ბ) არა; გ) იშვიათად

5. გინდა, რომ შენი მასწავლებელი უფრო მეტად მკაცრი იყოს?

ა) დიახ; ბ) არა; გ) არ ვიცი

6. კლასში ბევრი მეგობარი გყავს?

ა) ცოტა; ბ) ბევრი; გ) მეგობრები არ მყავს

7. მოგწონს შენი თანაკლასელები?

ა) დიახ; ბ) არა; გ) არც ისე

ანკეტირების შედეგები:

პასუხები შევაჯამეთ ქულების მიხედვით. დადგინდა სასკოლო მოტივაციის 5 ძირითადი დონე:

1. **25-30 ქულა** -- სასკოლო მოტივაციისა და აქტივობის მაღალი დონე;
2. **20—24 ქულა** -- კარგი სასკოლო მოტივაცია. დაწყებითი კლასების მოსწავლეთა უმეტესობას ასეთი მონაცემები აქვს.
3. **15-19 ქულა** -- სკოლისადმი დადებითი დამოკიდებულება, მაგრამ სკოლა საინტერესოა უფრო არასასწავლო მხარეებით (შინაგანი მოტივაცია); ასეთ ბავშვებს სწავლაზე უფრო მეტად ხიბლავთ ამხანაგებთან, მასწავლებელთან ურთიერთობა;
4. **10-15 ქულა** -- დაბალი სასკოლო მოტივაცია. ასეთ მოსწავლეებს არ ხიბლავთ სკოლაში სიარული და ურჩევნიათ გაკვეთილების გაცდენა; გაკვეთილებზე თამაშობენ ან ერთობიან და არა აქვთ სწავლისადმი ინტერესი;
5. **10 ქულაზე ნაკლები** -- სკოლისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. ასეთი ბავშვები ვერ უმკლავდებიან სასწავლო საქმიანობას, აქვთ თანაკლასელებთან ურთიერთობის პრობლემები, სკოლას უყურებენ, როგორც მტრულ გარემოს. ამჟღავნებენ აგრესიულობას, არ ასრულებენ დავალებებს,

კვლევის შედეგები:

- მოსწავლეთა 20%-ს აქვს მაღალი სასკოლო მოტივაცია;
- მოსწავლეთა 45%-ს აქვს კარგი სასკოლო მოტივაცია;
- მოსწავლეთა 25%-ში შეინიშნება სკოლისადმი დადებითი დამოკიდებულება;
- მოსწავლეთა 10%--ს დაბალი სასკოლო მოტივაცია აქვს.
- სკოლისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მქონე მოსწავლეები ჩვენს მიერ გამოკითხულთა შორის არ აღმოჩნდა.

ანკეტა № 3

გამოკითხვაში მონაწილეობდა მე-10 კლასის 25 მოსწავლე. თითოეულ მათგანს გავეცანი და ვესაუბრე ინდივიდუალურად, ავიუხსენი მოტივაციის რაობა და ვთხოვე, მონაწილეობა მიეღოთ გამოკითხვაში. უფროსკლასელები სიამოვნებით დამთანხმდნენ და ვფიქრობ, მათი პასუხები გულწრფელია.

1. უკავშირდება თუ არა თქვენი ინტერესები მომავალი პროფესიის არჩევას?

ა) დიახ, უკავშირდება; ბ) არ დავფიქრებულვარ ამაზე;
გ) არ უკავშირდება

2. იყენებთ თუ არა სწავლის პროცესში სამეცნიერო ლიტერატურას, ენციკლოპედიას, ლექსიკონებს?

ა) რეგულარულად ვიყენებ; ბ) ხანდახან; გ) ძალიან იშვიათად

3. რამდენად ხშირად შეგისრულებიათ თქვენთვის უინტერესო ინტელექტუალური სამუშაო?

ა) ყოველთვის ვასრულებ იმდენს, რამდენიც საჭიროა;
ბ) პერიოდულად ვასრულებ;
გ) არ მიყვარს უინტერესო სამუშაოს შესრულება

4. შეგიძლიათ ხანგრძლივად იმეცადინოთ და დრო არ დახარჯოთ გართობასა და დასვენებაზე?

ა) დიახ, შემიძლია; ბ) იშვიათად ; გ) არ შემიძლია

5. მოგწონთ რთული დავალებების შესრულება და სირთულეების გადალახვა მათი შესრულებისას?

ა) ძალიან მომწონს; ბ) არც ისე; გ) არ მოწონს

6. მოგწონთ სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობა?

ა) მომწონს და აქტიურად ვარ ჩართული;

ბ) მომწონს, მაგრამ მე არ ვმონაწილეობ;

გ) კარგი იქნებოდა, სკოლაში ამდენი დრო გაკვეთილებზე არ იხარჯებოდეს

7. მნიშვნელოვანია თქვენთვის დაუმტკიცოთ საკუთარ თავს, რომ შეგიძლიათ კარგად ისწავლოთ?

ა) ძალიან მნიშვნელოვანია; ბ) არც ისე; გ) ამაზე არ მიფიქრია

კვლევის შედეგები:

უფროსკლასელთა ანკეტირებამ გვაჩვენა, რომ მათი უმრავლესობა ფიქრობს მომავალ პროფესიაზე. მათთვის სწავლების უმთავრეს მოტივს წარმოადგენს სასურველ უმაღლეს სასწავლებელში მოწყობისკენ სწრაფვა. გამოკითხულთაგან უმეტესობამ დადებითი პასუხი გასცა შვიდივე შეკითხვას, რაც ადასტურებს შემდეგს:

- 65%-ს სწავლის მაღალი მოტივაცია აქვს თვითგანვითარებისა და წარმატებების მოპოვების მიზნით;

- 35%-ის მოტივაცია სოციალურია და დაკავშირებულია კარგი სამსახურის დაწყებასთან. ეს მოსწავლეები სწავლობენ იმიტომ, რომ ამის გარეშე ვერ დაიწყებენ მუშაობას.

- ყველა გამოკითხულს აქვს საყვარელი საგანი, ყავს საყვარელი მასწავლებელი. ისინი აღნიშნავენ, რომ გაკვეთილების უმეტესობა საინტერესოა, სკოლაში ყავთ მეგობრები და ყოველივე ამის გამო სიამოვნებთ სკოლაში სიარული.

კვლევამ აჩვენა, რომ ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა, კერძოდ:

1. მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს აქვს დაბალი სასწავლო მოტივაცია, გამოწვეული საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობების სიმცირით, რთული დავალებებით, მშობლების პასიური დამოკიდებულებით შვილის სასწავლო საქმიანობის მიმართ;

2. უფროსკლასელებში სწავლის მაღალი მოტივაცია დაკავშირებულია თვითშეფასების მაღალ ხარისხთან და მოსწავლის სამომავლო გეგმებთან.

დასკვნები და რეკომენდაციები

ამრიგად, მოტივაციასთან დაკავშირებული საკითხებისა და თეორიების გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ სასწავლო მოტივაცია უმნიშვნელოვანესი პრობლემაა თანამედროვე სკოლაში. მოტივები, რომლებიც მოსწავლის შინაგანი ძალების მობილიზაციას ახდენენ, არა მარტო უზრუნველყოფენ მის აქტივობას, არამედ პიროვნებად აყალიბებენ მას.

როგორც წესი, მოსწავლის სასწავლო საქმიანობას აღძრავს არა ერთი რომელიმე მოტივი, არამედ სხვადასხვაგვარი მოტივების მთელი სისტემა, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთთან ურთიერთკავშირში არიან.

მოტივაციის ბევრი მხარე დაკავშირებულია მოსწავლის მიზნებსა და მომავალ საქმიანობაზე სუბიექტურ წარმოდგენაზე, მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, საკუთარ შესაძლებლობებზე და უნარებზე. ეს წარმოდგენები ცვალებადი და დინამიურია, ამიტომ შესაძლებელია მათზე ზეგავლენის მოხდენა, -- მოტივაციის პროცესის კორექტირება.

საკითხზე მუშაობამ გვიჩვენა, რომ მოსწავლის სამოტივაციო სფეროზე ზეგავლენის მოსდენა, სასწავლო მოტივებისა და მიღწევების ფორმირება ერთ-ერთი ეფექტური მეთოდური ხერხია. მოსწავლე მაღალი სასწავლო მოტივაციით მიისწრაფვის სირთულეების გადალახვისკენ და აღწევს დიდ რეზულტატებს.

მოტივაციის სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე აქტუალურია მისი გამოვლინებების, განვითარების, თავისებურებების შესწავლა და იმ გზების ძიება, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო მოტივების მიზანმიმართულ ფორმირებას. პედაგოგის უმთავრესი მოვალეობაა მოსწავლეს გაიღვივოს სწავლისადმი ინტერესი, გაუჩინოს მოტივაცია.

ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელმა უნდა შეიმუშაოს ისეთი სტრატეგიები, რომ შინაგანად მოტივირებულ მოსწავლეს არ დაუქვეითდეს სწავლის სურვილი, ხოლო მათ, ვისზეც გარეგანი მოტივაციის ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, გაუზარდოს სასწავლო საგნისადმი ინტერესი.

ზემოთ განხილული საკითხებიდან ჩანს, რომ მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორები, მოსწავლეს შეუქმნას პოზიტიური სასწავლო გარემო და ეფექტური სასწავლ;ო-საგანმანათლებლო საქმიანობით სწავლის მოტივაცია გაუზარდოს ბავშვს,

სასურველია, მასწავლებელმა სწავლების ტრადიციული მეთოდების გვერდით გამოიყენოს ინოვაციური მეთოდოლოგია, პროექტების შედგენისა თუ პრეზენტაციების წარდგენის მეთოდები, რაც შემოქმედებითი უნარების რეალიზების საშუალებას აძლევს მოსწავლეს და ეხმარება სწავლის მოტივაციის ამაღლებაში, უზრუნველყოფს ინტელექტუალური უნარების განვითარებას, პასუხისმგებლობისა ჩამოყალიბებას, გადაწყვეტილებების მიღებისა და რეზულტატის შეფასების უნარების გამომუშავებას.

მასწავლებელმა კლასგარეშე აქტივობებით უნდა გაამდიდროს სასწავლო პროცესი, ჩაატაროს დისკუსიები, პრეზენტაციები, შემეცნებითი თამაშები, საგანმანათლებლო ექსკურსიები და ა.შ. ეს ყველაფერი დაეხმარება მას მოსწავლეების გააქტიურებასა და მათი სასწავლო მოტივაციის გაზრდაში.

განსაკუთრებით სათუთი და გულისხმიერი მოდგომაა საჭირო გარდამავალი ასაკის მოზარდის მოტივაციის ფორმირებისს. ამ შემთხვევაში მასწავლებლის და მშობლის მიდგომა უნდა იყოს კეთილგანწყობით აღსავსე, მოზარდის შინაგანი სამყაროსადმი პატივისცემის გამომხატველი, რაც ხელს შეუწყობს მის მაღალ თვითშეფასებას და სასწავლო საქმიანობაში წარმატების მოპოვებას. მასწავლებელმა არასოდეს არ უნდა გააკრიტიკოს მოზარდი საჯაროდ, რადგან ეს ნეგატიურად აისახება მის ფსიქიკაზე და ქცევებზე.

მიგვაჩნია, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშობელთა აქტივობას, მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და შვილის მოტივაციის ამაღლებაში. მშობელმა უნდა გაითავისოს, რომ სწორი, დემოკრატიული მეთოდებით აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მისი შვილისთვის, არამედ ქვეყნის მომავლისთვის. ადამიანის განვითარება ხომ იზოლირებულად არ ხდება. ამ პროცესში მონაწილეობს ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, გარემომცველი ადამიანები, რომლებსაც მოზარდები ბაძავენ, სარკესავით ირეკლავენ დადებითსაც და ნეგატიურსაც. ამიტომ ოჯახმა ხელი უნდა შეუწყოს შვილს განათლებულ, ზნეობრივად განვითარებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში და სწავლის მოტივაციის ამაღლებაში.

სასურველი იქნება, თუ მშობელი ყოველდღიურად დაინტერესდება იმით, როგორ ჩაიარა მისი შვილის სასწავლო დღემ, რა ახალი ინფორმაცია გაიგო და ისწავლა მან. ასევე, მშობელს რეგულარული ურთიერთობა უნდა ჰქონდეს პედაგოგებთან, რათა ინფორმირებული იყოს სასწავლო ინოვაციებისა და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მეთოდოლოგიის შესახებ. მოტივაციის ამაღლების ძირითადი საშუალება მშობლისა და მასწავლებლის ერთობლივი ძალისხმევაა, პოზიტიური პიროვნული ურთიერთობები და სასურველი სასკოლო ატმოსფეროა.

თანამედროვე ცხოვრების ტენდენციებს შორის განსაკუთრებით შესამჩნევია საყოველთაო კომპიუტერიზაცია, სასწავლო პროცესებში ინფორმაციულ-კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა, რაც საშუალებას აძლევს მოზარდებს ფეხი აუწყონ თანამედროვეობას, გარდა ამისა, სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და შემეცნებითი ხდება, ეს კი ხელს უწყობს შემეცნებითი მოტივაციის ამაღლებას მოსწავლეებში.

ინფორმაციულ-კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით გაკვეთილებზე რეალიზდება მნიშვნელოვანი დიდაქტიკური პრინციპი -- თვალსაჩინოების გამოყენების პრინციპი, სწავლება ხდება უფრო შემოქმედებითი, აქტიური, თუმცა როგორც მშობელმა, ასევე, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ბავშვი არ

მიეჯაჭვოს ტექნოლოგიებს და მთლიანად არ მოექცეს ვირტუალური სამყაროს ტყვეობაში.

საბოლოოდ კი დავასკვნით, რომ ჩვენს მიერ გაანალიზებული მასალა ადასტურებს მოტივაციის უდიდეს მნიშვნელობას. მოტივაცია ყველაზე დიდ გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის პროდუქტიულობაზე და განსაზღვრავს სასწავლო საქმიანობის წარმატებულობას, ხოლო მოტივაციის არქონას მოსწავლე მიჰყავს დაბალი აკადემიური მოსწრებისკენ, პიროვნების დეგრადაციისკენ. აღზრდის ხელოვნება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცეს საქმიანობის წარმატებულ რეზულტატებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პიროვნების ცხოვრების შინაგანი მოტივაციის უფრო მეტად მაღალი ტიპი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე ნ.შორეული მოტივაცია, ქცევა და სწავლა, ბათუმი, 1995.
1. ბასილაძე ნ. მშობლის სახელმძღვანელო,ბათუმი, 2019.
2. ბასილაძე ნ ქართული პედაგოგიკის ისტორია, ბათუმი, 2013.

1. გაბაშვილი მ., სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი, თბილისი, 2010

2. გერიგი რ., ზიმბარდო ფ., ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა, 2009

3. გორდონი თ., როგორ გავხდე კარგი მშობელი, თბილისი, 2017

4. დავითაშვილი ნ., სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, თბილისი, 2008

6. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024, მუხლი 34. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა

7. თევდორაშვილი დ., განვითარების ფსიქოლოგია, თბილისი, 2010

9. ლობჟანიძე ს., როგორ შევუწყოთ ხელი სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას, თბილისი, 2013

10. მშობელთა ჩართულობა, რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის, თბილისი, 2015

12. პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, ნაწილი 2, ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016

13. ჟურნ. ბიზნესი, ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, № 2, აპრილი, 2007

14. სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა, ააიპ მშობლები განათლებისათვის, 2020

15. უზნაძე დიმიტრი, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, თბილისი, გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე“, 2009

17. ქართული საბჭ. ენციკლოპედია, ტ. III, თბილისი, 1980

18. ჭკუასელი ქ., ჭკუასელი ი., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, 2010

20. ხუხუა გ., პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები ოჯახური აღზრდის შესახებ, თბილისი, 1998

23. Ильин Е. П., Мотивация и мотивы, Питер, 2006

24. Казанская В., Подросток, трудности взросления, Питер, 2008

ინტერნეტ-რესურსები:

- http://mastsavlebeli.ge/?p=1572 ბერძენიშვილი ც. მოტივაცია კლასში: მოტივაციის თეორიები, 9 ოქტომბერი, 2015. ლინკი რედაქტირებულია 18.10. 2019
- https://ndc.ge/> მოზარდობის ანუ გარდატეხის ასაკი, ტატა აბაზღაძე
- მარიკა სიხარულიძე,. სწავლის მოტივაცია - თეორია და სტრატეგიები, 1 აპრილი, 2013, http://mastsavlebeli.ge?p=239
- mastsavlebeli.ge/?tag=ცინცაძე ნანა, მოტივაცია -- წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი, 17 მაისი, 2019
- ჭყოიძე თ., სწავლის მოტივაციის შიდა ფაქტორები, 6 იანვარი, 2015 წელი, http://dictionary.css.ge/content/motivation, ლინკი რედაქტირებულია 21.01. 2019

- ცინცაძე ნანა, მოტივაცია -- წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი. 17 მაისი, 2019, http:// mastsavlebeli.ge/ რედაქტირებულია - 15 მაისი, 2021
- წერეთელი მ., განათლების ფსიქოლოგია, რიდერი, 2016:30, https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/202-3.pdf